

მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო  
დაწესებულებაში საღვთისმეტყველო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე  
სტუდენტების ჩარიცხვის წესი

დანართი 1

დამტკიცებულია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის 2014 წლის 30 ივნისის  
№119 ბრძანებით

მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

1. ეს წესი განსაზღვრავს მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდგომში - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება“) სამაგისტრო საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურასა და პირობებს შემდეგი მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის:

1.1. თეოლოგიის;

1.2. ხატწერის;

1.3. საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების);

1.4. საეკლესიო მუსიკისა და საეკლესიო მუსიკათმცოდნეობის;

1.5. ქრისტიანული ფსიქოლოგიის;

1.6. ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის;

1.7. დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის;

1.8. ქრისტიანული ფილოსოფიის.

## **მუხლი 2. სამაგისტრო საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლების მქონე პირი**

1. ამ წესის პირველი მუხლით გათვალისწინებულ სამაგისტრო საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;
2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემსვლელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ სპეციალურ მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრულია დაწესებულების ხელმძღვანელის შიდა სამართლებრივი აქტით და გამოქვეყნებულია მისაღები გამოცდების პროგრამებთან ერთად;
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულში - სასულიერო აკადემიაში - სწავლის უფლება აქვთ მხოლოდ მამაკაცებს.

## **მუხლი 3. სამაგისტრო საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა**

1. სამაგისტრო საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო საღვთისმეტყველო გამოცდის გარეშე, ამ წესით განსაზღვრული შიდა გამოცდების შედეგების მიხედვით;
2. სამაგისტრო საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წესდება შემდეგი შიდა გამოცდები:
  - 2.1. ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (კატეხიზმო);
  - 2.2. უცხო ენა;
3. შიდა გამოცდების პროგრამებს, ჩატარების ფორმასა და თარიღს, აგრეთვე, კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, დამატებით შიდა გამოცდებს განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი შიდა სამართლებრივი აქტით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარდგინებით;

4. შიდა გამოცდების ორგანიზებისა და შედეგების შეფასების მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოცდებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის შიდა სამართლებრივი აქტით იქმნება შესაბამისი საგნობრივი საგამოცდო კომისიები;
5. თითოეული შიდა გამოცდა ფასდება 100-ქულიანი სისტემით და იგი ჩაბარებულად ითვლება, თუ მაგისტრანტობის კანდიდატი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას;
6. საგამოცდო ცხრილით დადგენილი გამოცდის ჩაუბარებლობის შემთხვევაში მომდევნო გამოცდაზე მაგისტრანტობის კანდიდატი არ დაიშვება;
7. სამაგისტრო საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხდება მისაღები საგამოცდო კომისიის მიერ დამტკიცებული ყველა გამოცდის დაჯამებული შედეგების გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული ადგილების რაოდენობის შესაბამისად - მაქსიმალური ქულიდან ქვემოთ. საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, თანაბარი საგამოცდო შედეგების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა შესაძლებელია მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის აქტით დადგენილ საგანში/საგნებში მიღებულ შეფასებას;

#### **მუხლი 4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა**

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა ხდება შიდა გამოცდების შედეგების საფუძველზე;
2. მაგისტრანტობის კანდიდატთა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომისა და კანონმდებლობით დადაგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ;
3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება დაწესებულებასა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის

დადებული ხელშეკრულებითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ერთიანი აქტით;

4. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დგება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ერთიანი აქტი, რომელიც ყოველი წლის 5 ოქტომბრამდე უნდა გაიგზავნოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. რექტორის ერთიანი აქტში მითითებული უნდა იყოს მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ყოველი წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარადგინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისი ინფორმაცია ჩარიცხული პირების შესახებ ელექტრონული ფორმით;

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ერთიანი აქტის გამოცემის შემდეგ პირი ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი - მაგისტრანტი.